ოქმი:**ო63. 6325232001**
თარიღი:**20/08/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. სამტრედია. 8 აგვისტო, 2025 წელი.

2025 წლის 8 აგვისტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, გოჩა არველაძე, ზაზა ადეიშვილი, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, როლანდ ეცადეიშვილი, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი.

2. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში - თამილა კეკელიძე.

4. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''-ს ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.

5. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი - თეა ბაბუნაშვილი.
6. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, ვაჟა სტურუამ, მიმართა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას: ,,ვიდრე დავიწყებდეთ დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვას, მინდა გულისტკივილით ავღნიშნო ჩვენი ქვეყნის დღევანდელი დღის ისტორია და მნიშვნელობა. 17 წელი გავიდა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ, სრულმასშტაბიანი, სამხედრო ინტერვენციისა, რასაც მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია. აგვისტოს ომს ჰყავს უამრავი გმირი ჩვენი ქვეყნის, რომლებიც თავის ქვეყანას, თავის სამშობლოს სიცოცხლის

ფასად იცავდნენ, ქვეყნის სიყვარულით, პატივისცემით, ქართული სულისკვეთებით. ჩვენს მუნიციპალიტეტს ჰყავს აგვისტოს ომის 4 გმირი. მე ქედს ვიხრი ჩვენი გმირების წინაშე. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას. (საკრებულოს წევრებმა და სტუმრებმა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს, 8 აგვისტოს ომში დაღუპულ, გმირთა ხსოვნას).

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე** სხდომის დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების** სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ.

   /მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის), სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ **შენობა-ნაგებობის გამოყოფის** შესახებ.

   /მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის საშტატო ნუსხის** დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

4. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დაზუსტების** შესახებ.

   /მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტი საკითხთა კომისიის თავმჯდომარის.მ/შ, გ.არველაძე/

5. **სხვადასხვა.**

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (20 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 8 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ.

საკითხი განიხილა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად,

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენ ადგილებად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყოს:

ა) ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე, კულტურის სახლის წინ მდებარე 2 სარეკლამო აბრა;

ბ) ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე, რკინიგზის სადგურის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 1 სარეკლამო აბრა;

გ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს მგზავრთა მოსაცდელები, გარდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მოსაცდელებისა.

3. პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ადგილების (ობიექტების) გარდა სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე, გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელი დროებითი ღობეები.

5. აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

6. საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლონ სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

7. დაევალოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია) ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების ორგანიზება.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (20 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების** სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის), სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ **შენობა-ნაგებობის გამოყოფის** შესახებ''.

საკითხი განიხილა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის" დარბაზი (ქალაქი სამტრედია, რუსთაველის ქუჩა).

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (20 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის), სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ **შენობა-ნაგებობის გამოყოფის** შესახებ''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის საშტატო** ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 1 აგვისტოს*** N62-622521334 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის საშტატო ნუსხის** დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ,,გენდერული თანასწორობის შესახებ'', საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^2 -ე პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერი განსაზღვრავდა შესაბამის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ,,ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ'', საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^2 -ე პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტში ქალთა უფლებების დაცვის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვისა და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით მუნიციპალიტეტის მერი განსაზღვრავს შესაბამის მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (20 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის საშტატო** ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დაზუსტების** შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებაში შეტანილი 2025 წლის 30 ივლისის N1212 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები გაიზარდა 590 432 ლარით და განისაზღვა 7 932 876 ლარით. მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობის განკარგულებით გაიზარდა 567 801 ლარით და შეადგენს - 7 537 425 ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება გაიზარდა 22 631 ლარით და შეადგენს - 395 451 ლარს. აქედან გამომდინარე გაიზარდოს (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან - 147 044 ლარით, ხოლო ბიუჯეტიდან თანადაფინანსება - 7 740 ლარით. გაიზარდოს (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან - 420 757 ლარით, ხოლო ბიუჯეტიდან თანადაფინანსება - 14 891 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–პუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69–ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილების ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N№62. 62252136 01/08/2025 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილება. კერძოდ, გაიზარდა (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან - 147 044 ლარით, ხოლო ბიუჯეტიდან თანადაფინანსება - 7 740 ლარით მოწესრიგდა არსებული გეგმის ფარგლებში და გაიზარდა (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან - 420 757 ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 14 891 ლარით, მოწესრიგდა არსებული გეგმის ფარგლებში.

ასევე, ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშესაწყობად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, გამოეყო 405 766 ლარი და ამ განკარგულების ,,ი'' და ,,კ''-ქვეპუნქტების მიხედვით საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხას თანადაფინანსების სახით დაემატება 149 200 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–პუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69–ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილების ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N№62. 622521610 04/08/2025 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილება. კერძოდ გაიზარდა:

- (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით 57 000 ლარით; ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით -110 000 ლარი; სულ 167 000 ლარით.

- (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 90 000 ლარით; ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით -9 200 ლარი; სულ 99 200 ლარით.

- (კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 90 000 ლარით; ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით -10 000 ლარი; სულ 100 000 ლარით.

- (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობის განკარგულებით 165 750 ლარი; ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით -10 000 ლარი; სულ 175 750 ლარით.

- (02 02 02 კოდი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურების გეგმა მთავრობის განკარგულებით 3 016 ლარით; ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით -10 000 ლარი; სულ 13 016 ლარით.

საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო-საბიოუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დაზუსტების შესახებ, მიღებულია ცნობად.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/